ხელშეკრულება №5

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი 07 თებერვალი 2019წ.

ერთის მხრივ, ა(ა)ი.პ. კომუნალური 1 (შემდგომში- შემსყიდველი), წარმომადგენელი მისი დირექტორის ჯონდო გელაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „ თორნიკე" (შემდგომში- მიმწოდებელი), წარმომადგენელი მისი დირექტორი სერგო ბლიაძე სახით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი, კლასიფიკატორის კოდი

ხელშეკრულების საგანია: . 1). ქუჩის სანათი ტორშერი 30 ცალი (CPV31521200) 690 ლარი. 2.) ნათურები 200ცალი (CPV3153100) 1800 ლარი. 3). ლამპისა და სანათის ნაწილი ჩიპი 100ცალი (CPV 31532000) 1300ლარი 4) ლამპისა და სანათის ნაწილი დრაივერი 100ცალი (CPV 31532000) 1100ლარი. .

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 4890 (ოთხი ათას რვაას ოთხმოცდაათი)ლარი.
2.2 ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მიოცავს საქონლის შესყიდვას და მიმწოდებელთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების ან/და სასაქონლო ზედნადებით ან ანგარიშფაქტურით.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.
3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების ან/და სასაქონლო ზედნადების ან ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10(ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

უხლი 4. საქონლის მიწოდების ხარისხი, ადგილი და ვადა

4.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხარისხიან პროდუქტზე.
4.2. მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს 2019 წლის 07 თებერვალი -2019წლის 10 თებერვალი

მუხლი 5. მხარეთა უფლება მოვალეობები.

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
5.2. შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებაში მითითებულ ვადაში მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი,.

მუხლი 6.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
6.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ შემსყიდველის მიერ გამოყოფილი უფლებამოსილი პირები.
6.3.შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყონებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის რაოდენობიდა და წუნდების მიზეზების მითითებით

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 2(ორი) დღეში გამოასწოროს გამოვლენილი დეფექტი ან ნაკლი.

მუხლი 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყრელ ნაწილად.

7.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს: ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე: ბ)თუ შემსყიდველისთვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას: გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება: დ)თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბია: ე)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებებით გამოწვეული პასუხისმგებლობიდან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2.თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა,აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისულდება ნაკისრი ვალდებულებისგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9.პირგასამტეხლო

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში-ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

9.2. ხელშეკრულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ დარჩენილი ნაწილის შეძენა შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

მუხლი 10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1.ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუხწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა პირობები

11.1 ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 15 მარტი.

11.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 ეგზემპლიარად და აქვს თანაბარი იურდიული ძალა.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)ი.პ. „კომუნალური1"
მის: ქ.სიღნაღი დ. აღმაშენებლის მოედანი №2
საიდენტიფიკაციო კოდი:№440394592
ელ-ფისტა: komunaluri1@mai.ru
ტელეფონი: 355 23 21 06
დირექტორი: ჯონდო გელაშვილი

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „თორნიკე"
მის:ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზირი №84

საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი,
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა: GE88BG0000000893696601
ს/კოდი: 202234509
ელ-ფოსტა: ltd_tornike@live.com
დირექტორი: სერგო ბლიაძე

Sergo Bliadze

Digitally signed by Sergo Bliadze
Date: 2019.02.07 15:49:03 +04'00'